ი/მ "რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი,
დაპროექტება, ექსპერტიზა"

ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, I კვ. მე-6 კორპ. ბ.14
ტ. 593 25-19-71 232-88-15 e-mail – r.makhviladze@mail.ru

№01-74/16 4 ნოემბერი 2016 წელი

იმა „საელჩო-2005" თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი დათიაშვილს

თქვენთან 2016 წლის 26 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ადგილზე შევისწავლეთ ილია ჭავჭავაძის გამზირზე №75 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არსებული მდგომარეობა და კორექტირებული პროექტი „1-10" და „ა-დ" ღერძების ფარგლებში შენობის 15 სართულიან ნაწილში ნიშნულებზე 52,35 მეტრი ერთი სართულის დაშენების თაობაზე. შენობის კარკასი და შემომზღუდავი კედლები უკვე ამოყვანილია, სახურავი მოწყობილი. ასევე გავეცანით მისი მშენებლობისათვის დამტკიცებულ არქიტექტურულ-კონსტრუქციულ დოკუმენტაციას და შეგადარე ამჟამინდელ კორექტირებულ ნახაზებს, რის საფუძველზეც ჩემს საექსპერტო ჯგუფთან ერთად მოვამზადეთ და გიდგენთ საექსპერტო-კონსტრუქციულ დასკვნას საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევებზე (შემდგენელი საქქალაქპროექტის სამიებო-გეოლოგიური განყოფილება) და კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციულ (ფუძე სამირკვლები და სამშენებლო კონსტრუქციები) ნაწილებზე.

საცხოვრებელი სახლი შედგება ანტისეისმიური ნაკერით გამოყოფილი 15 და 18 სართულიანი ნაწილებისაგან, ორ სადარბაზოიანია, ერთი სართულის დაშენება დაპროექტებულია შენობის დაბალ ნაწილზე სიმაღლით 2,39 მეტრი სახურავის დონეზე ნიშნულზე 52,35 მეტრი. კონსტრუქციული დოკუმენტაციით კარკასის ამაღლება ხდება სწორკუთხა ლითონის სვეტებით, იკვრება ასევე ლითონის პროფილური კონსტრუქციებით და იხურება მოხოლითური რკინაბეტონის ფილით. წარმოდგენილია ლირა-9 კომპიტერული პროგრამით შესრულებული კარკასის კონსტრუქციების გადაანგარიშებაც.

ორივე ექსპერტს პროფესორ გიგი დანელიას (საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის ექსპერტიზის შემდგენელი) და მე პროფესორ რევაზ მახვილაძეს (ექსპერტს კონსტრუქციულ დოკუმენტაციაზე) მიგვაჩნია, რომ:

1. ბოლო სართულის ბინის გადახურვის თავზე ნიშნულზე 52,35 მ ღერძებში „1-10" და „ა-დ"-ეს ფარგლებში ერთი სართულის დაშენება წარმოდგენილი კონსტრუქციული გადაწყვეტილების შესაბამისობით არ გამოიწვევს გაზრდილი დატვირთვებისაგან შენობის მდგრადობისა და ამტანუნარიანობის დაქვეითებას, ასევე შენარჩუნდება 8 ბალ სეისმიურ ზემოქმედებაზე სამშენებლო ნორმატივებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

2. საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნა და კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციული (ფუძე საძირკვლები და სამშენებლო კონსტრუქციები) ნაწილები სრულ შესაბამისობაშია საქართველოში ამჟამად მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებებთან:

- სნ და წ 1.02.07-87 მშენებლობის ქვეშ „საინჟინრო-საძიებო სამუშაოები";
- სნ და წ 2.01.07-85 „ დატვირთვები და ზემოქმედებები";
- პნ 01.05-08 „სამშენებლო კლიმატოლოგია";
- პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა";
- პნ 02.01-08 „შენობა-ნაგებობების ფუძეები";
- პნ 02.01-09 „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები";

3. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილ საპროექტო-კონსტრუქციულ დოკუმენტაციას რეკომენდაცია ეძლევა დასამტკიცებლად.

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნები ორივე ნაწილზე წარმოდგენილია მომდევნო გვერდებზე.

დასკვნას აგრეთვე თან ერთვის ექსპერტებზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებზე: გიგი დანელიაზე და რევაზ მახვილაძეზე შრომით საინჟინრო, საპროექტო, სამეცნიერო, პედაგოგიურ და საექსპერტო მოღვაწეობაზე დოკუმენტაციის ნუსხა.

დირექტორი: **რევაზ მახვილაძე**

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №75-ში, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

სს "საქქალაქმშენპროექტის" საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების განყოფილების სპეციალისტების მიერ 2005 წლის მარტში ჩატარებული იქნა აღნიშნულ ობიექტზე საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესწავლისა და დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტის მიზნით. სამშენებლო მოედნის ფარგლებში გაიბურღა 5 ჭაბურღილი სიღრმით 11.0-17.0 გრძივი მეტრი თითოეული. ანგარიშში მოცემულია ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები. როგორც გეოლოგიური ჭრილებიდან ჩანს, ტერიტორიის ამგები გრუნტები შედგება 6 ფენისაგან, რომელთაგან 3 ფენა გამოიყოფა როგორც საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რაც გამართლებულია დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან და უბნის გეოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე. ჭაბურღილებიდან აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოცდის შედეგად დადგენილია გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები როგორც ბუნებრივი ტენიანობის, ასევე წყალგაჯერებული მდგომარეობისათვის. მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილებისა და გრაფიკების სახით. უბანზე გაერცელებული გრუნტის წყლის რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების განსასაზღვრავად აღებულია წყლის სინჯები და მოცემულია მათი ლაბორატორიული ანალიზის შედეგები დანართების სახით.

წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ მიწის ზედაპირიდან 0.6-0.9 მეტრზე გავრცელებულია მკვრივი აგებულების ტექნოგენური გრუნტი (ფენა-1). მის ქვემოთ 5.8-12.9 მეტრ სიღრმემდე გავრცელებულია ყავისფერი თიხნარები კენჭების ჩანართებით 20-25%-მდე, მყარი კონსისტენციის (ფენა-2) და ასევე მყარი კონსისტენციის ღია ყავისფერი ქვიშნარები ხრეშის და კენჭების,ალაგ-ალაგ წვრილი ღორღის მინარევით 40-45%-მდე (ფენა-3). აღნიშნული ფენების ქვეშ განლაგებულია დიდი სიმძლავრის მსხვილნატეხოვანი გრუნტი წარმოდგენილი წვრილი და საშუალო ფრაქციის კენჭნარებით,მყარი კონსისტენციის ქვიშნარის 40-45%-მდე შემავსებლით (ფენა-4). მსხვილნატეხოვანი გრუნტი ქვემოდან შემოფენილია ზედა ეოცენის ძირითადი ქანებით - ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით. ეროზიული ზედაპირი-დან 1.4-3.0 მ-ის ფარგლებში ძირითადი ქანები ძლიერ გამოფი-ტულია(ფენა-5).. მის ქვემოთ ძირითადი ქანები სიღრმეში ნაკლებ გამოფიტულია(ფენა-6).

ჭაბურღილებში გრუნტის წყალი გამოვლენილია 13.5-14.1 მეტრ სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან მხოლოდ ორ ჭაბურღილში და დამყარებულია იმავე დონეებზე. შეიძლება ითქვას, რომ გრუნტის წყალი წარმოადგენს ძირითადი ქანების ნაპრალოვან წყალს. გრუნტის წყალი ხასიათდება სუსტად გამოხატული სულფატური აგრესიულობით ბეტონის მიმართ.

საბოლოოდ მოცემულია სათანადო დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული ნაშრომის მიმართ გვინდა შემოგთავაზოთ შემდეგი მოსაზრება: ანგარიშში რეკომენდებულია ძირითადი ქანის (არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობა) საანგარიშო წინაღობის გასაშუალოებული რიცხვითი

მნიშვნელობა. რეალურად საძირკვლის ფუძე შედგება არგილიტებისა და ქვიშაქვების თხელი შრეების მორიგეობით, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს მათ ერთობლივ მუშაობას. მიგვაჩნია, რომ საძირკვლის ფუძის საანგარიშო წინაღობად მიღებული უნდა იქნეს არგილიტებისა და ქვიშაქვების წინაღობების შეწონილი მნიშვნელობა,რაზეც ადრეც გვქონდა მინიშნება,ანუ მათი საანგარიშო წინაღობების მნიშვნელობა გამოითვალოს შესაბამისი შრეების სისქეების პროპორციულად.

მიგვაჩნია, რომ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია მაღალ დონეზე და რეკომენდაცია ეძლევა გამოყენებისათვის პროექტირებაში.

ექსპერტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ფუძე-საძირკვლების მიმართულების

პროფესორი, საექსპერტო გამოცდილება 30 წელი,

შრომითი მოღვაწეობის სტაჟი 57 წელი

გივი დანელია

დანელია გივი

(CV)



საკონტაქტო ინფორმაცია		
ქვეყანა, ქალაქი		საქართველო, თბილისი
მისამართი		ვაჟა-ფშაველას პრ. 35, ბ. 45
ტელეფონის ნომრები	*ბინა*	2 39 47 37
	მობილური	593 91 58 35
	სამსახური	66-01
	E-mail	danelia.givi@mail.ru
დაბადების ადგილი, თარიღი და პ/№		ქ. თბილისი, 1938 წ 30 სექტემბერი, პ/601024019604
ოჯახური მდგომარეობა		მეუღლე, შვილი და ორი შვილიშვილი

განათლება
1961 წელი – დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი (უმაღლესი)
1970 წელი – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (სამეცნიერო ხარისხი)
1972 წელი – დოცენტი (სამეცნიერო წოდება)
2010 წელი – აკადემიური დოქტორი

მოღვაწეობა
1971 წლიდან დღემდე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო დეპარტამენტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულების ასოცირებული პროფესორი
1984-87 წწ – ალჟირის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ალჟირის რესპუბლიკა
1964-71 წწ – ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი, მეცნიერ მუშაკი
1963-74 წწ – საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტი“-ს ინჟინერ-კონსტრუქტორი
1961-63 წწ – სამშენებლო ტრესტის „თბილქალაქმშენ-“-ს სამუშაოთა მწარმოებელი
2009 წ-დან დღემდე – შპს „მშენ-ექსპერტი“ მთავარი კონსტრუქტორი

საქმიანობის აღწერა

სამოქალაქო და სამრეწველო ობიექტების, საინჟინრო ნაგებობების დაპროექტება ქ. თბილისში, ქ. ბათუმში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში;

შენობა-ნაგებობების დაზიანებათა კვლევა და მათი გამაგრება-გაძლიერების ღონისძიებების შემუშავება;

მონაწილეობა ენგურის თაღოვანი კაშხლის გაანგარიშებაში საკუთარი წონის ზემოქმედებაზე;

მონაწილეობა „რუსთავი-1“ ჰესის დაპროექტებაში (16 მგვტ);

მონაწილეობა „ბახვი“ ჰესის დაპროექტებაში (16 მგვტ);

მონაწილეობა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ახალი კომპლექსის დაპროექტებაში;

მეცნიერული კვლევები ნაგებობათა სტატიკასა და ფუძე-საძირკვლებში;

48 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი.

შესრულებული სამუშაოები

1. შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენ. დირექტორთან გ. გეგეშიძესთან 2009 წლის 19 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულდა ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5ა-ში მდებარე „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის ე.წ. სტუდიური ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.
2. მოქალაქე ვასილ სოხაძესთან 2009 წლის 15 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულდა ქ. თბილისში ი. ჭავჭავაძის გამზირის I ჩიხის №$2^{2ა}$ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის და კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერო დასკვნის მომზადება.
3. შპს „ფილიმასკა.ჯი“-ს დირექტორთან დ. კურცხალიასთან 2009 წლის 1 ივნისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულდა ქ. რუსთავში მშვიდობის ქ. №12 ქიმბოჭკოს ტერიტორიაზე ტყავის წარმოების საამქროების და ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და დასკვნის მომზადება.
4. შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენ. დირექტორთან გ. გეგეშიძესთან 2009 წლის 19 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულდა ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5ა-ში მდებარე „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ერთსართულიანი შენობის გადახურვის პროექტის მომზადება.
5. შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენ. დირექტორთან გ. გეგეშიძესთან 2009 წლის 1 ივნისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულდა ქ. თბილისში სანდრო ეულის ქ. №5ა-ში მდებარე „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობა-ნაგებობის სახურავის, კონსტრუქციების გაძლიერების და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
6. ქ. მარნეულში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართი სადგურის და ავტოსახელოსნოების ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ;
7. შპს „იკორთა 2007“-ის დირექტორთან 2009 წლის 8 ივლისის ხელშეკრულებით ქ.

რუსთავში XIV მკ/რ-ში მდებარე შპს „იკორთა-2007“-ის კუთვნილი 54 ბინიან 9 სართულიან მსხვილბლოკოვან სახლზე სართულის დაშენების პროექტის ექსპერტიზა;

8. 2005 წლის 5 მაისი ხელშეკრულებით გამოკვლევა ქ. თბილისში კაიროს ქ. №38-ში მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა;
9. შპს „ექსპრესი 2005“-ის დირექტორთან თ. ტოგონიძესთან 2009 წლის 10 აგვისტოს ხელშეკრულებით ქ. მარნეულში ავტოსადგურის შენობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას;
10. შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) მდებარე შენობის გამოკვლევა, ექსპერტიზა და პროექტირება;
11. მოსკოვის გამზირზე №1-ში მდებარე კორპუსის II სადარბაზოს I სართულის ღია ნაწილის კონსტრუქციების მდგომარეობის გამოკვლევს და დასკვნის მომზადება;
12. მუხიანის III მკ/რ-ნი კორპ. 12 ლია ჩქარეულის კუთვნილ ბინა №1-ის შიდა აზომვითი ნახაზის მომზადება;
13. ქაიროს ქუჩა №13ა-ში მდებარე სამაცივრო-სასაწყობო ნაგებობის ექსპერტიზა;
14. შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) ადმინისტრაციული შენობის პროექტირება;
15. ქ. თილისში, საბურთალოს ქ. №43-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მზიდი კონსტრუქციების ექსპერტიზა;
16. შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) ადმინისტრაციული შენობის პროექტირება;
17. ქ. თბილისი, ილურიძის 40-ში ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის გეოლოგიის დაკვნის, საპროექტო დოკუმენტაციის და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის მომზადება;
18. შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს I განყოფილების მთავარი სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
19. შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) ახალი შენობების პროექტირება;
20. შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის IV განყოფილების მთავარი სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
21. ქ. თბილისი, ვანის ქ. 4-ში ბოლო სართულზე მდებარე სამი ბინის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა;
22. ქ. თბილისში ავჭალის მასივის ტერიტორიაზე (ნაკვეთი №176) ერთსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ექსპერტიზა და კონსტრუქციული ნახაზების მომზადება;
23. ქ. თბილისი, კოჯორში მდებარე ნაკვეთში არსებული შენობის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკომენტაციის, მშენებლობის რგანიზაციის პროექტის და საექსპერტო

დასკვნის მომზადება;

24. ქ. თბილისი, ჩიტაიას №21-ში შენობის დაშენების საპროექტო დოკუმენტაციის, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის და დასკვნის მომზადება;
25. შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ტერიტორიაზე (სანდრო ეულის ქ. №5ა) მიმდინარე მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა;
26. შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის III განყოფილების მთავარი სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
27. შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VI განყოფილების, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს, დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს III განყოფილების მშენებლობების ტექნიკური ზედამხედველობა;
28. შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
29. შსს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მარნეულის რაიონული სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
30. შსს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს სამტრედიის რაიონული სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
31. შსს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
32. ფსიქიკური დაწესებულებების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის შერჩეული შენობა-ნაგებობების ტექნიკური და კონსტრუქციული მდგრადობის შესწავლა:
- ქ. თბილისი სს „აკად. ო. ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი“ ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ. №18/20 მარცხენა ფლიგელის დამხმარე შენობა;
- ქ. რუსთავში, წმ. ნინოს ქ. №5, ამბულატორიული მეთვალყურეობისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრის შენობა;
- ქ. თბილისში, ქავთარაძის ქ. №21ა, არსებული კომპლექსის 5 სართულიანი შენობა;
33. შპს „პალლადიუმ პალასი“-სთან გაფორმებული №05/11 ხელშეკრულებით საფუძველზე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თორნიკე ერისთავის 2/4-ში მრავალფუნქციური სავაჭრო-საოფისე შენობის პროექტის კორექტირებული არქიტექტურული ნაწილის გათვალისწინებით შენობის სრულყოფილი პროექტის მომზადება.
34. შსს-სთან 2012 წლის 4 იანვარს გაფორმებული №39 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: შსს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს ცაგერისა და ხარაგაულის რაიონული სამმართველოების შენობების პროექტების მომზადება;

35. შსს-სთან 2012 წლის 17 იანვარს გაფორმებული №107 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. ფოთში განთავსებული შსს-ს სისტემაში შემავალი დანაყოფების ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობა;
36. შსს-სთან 2012 წლის 18 იანვარს გაფორმებული №11 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის II და IX, ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის III და V განყოფილებების ახალი ადმინისტრაციული შენობების პროექტის მომზადება;
37. შპს „კავკასუს მეტალ ტერმინალი"-სთან 2012 წლის 10 თებერვალს გაფორმებული №02/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. ფოთში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 04.01.02.817) ტერმინალის პროექტის შედგენა;
38. შსს-სთან 2012 წლის 16 თებერვალს გაფორმებული №221 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: შსს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს ცაგერისა და ხარაგაულის რაიონული სამმართველოების შენობების სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობა;
39. შსს-სთან 2012 წლის 23 თებერვალს გაფორმებული №40 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციისისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის III და V განყოფილებების ახალი ადმინისტრაციული შენობების სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობა;
40. შსს-სთან 2012 წლის 19 მარტს გაფორმებული №66 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის II და IX განყოფილებების ახალი ადმინისტრაციული შენობების სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობა;
41. შსს-სთან 2012 წლის 29 მარტს გაფორმებული №329 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: შსს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს ხარაგაულის რაიონული სამმართველოს ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტების მომზადება;
42. შსს-სთან 2012 წლის 29 მარტს გაფორმებული №332 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: შსს იმერეთის რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს ცაგერის რაიონული სამმართველოს ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტების მომზადება;
43. შპს „ბეგი/ჯორჯია"-სთან 2012 წლის 1 აპრილს გაფორმებული №04/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. თბილისში, მიცკევიის ქ. №9-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ყოფილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შენობა) ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და რეკონსტრუქციის პროექტის მომზადება;
44. შპს „კავკასუს მეტალ ტერმინალი"-სთან 2012 წლის 23 მაისს გაფორმებული №06/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. ფოთში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 04.01.02.817) ტერმინალის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა;

45. შპს „ჰოლანდიური სახლი ბათუმი“-სთან 2012 წლის 24 მაისს გაფორმებული №08/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. ბათუმში, პუშკინის ქ. №37-ში სავაჭრო ცენტრის შენობის კონსტრუქციული პროექტის მომზადება;
46. შპს „დიდუბე მეგა ტრეიდი“-სთან 2012 წლის 23 ივლისს გაფორმებული №14/12 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თორნიკე ერისთავის 2/4-ში მრავალფუნქციური სავაჭრო-საოფისე შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის კორექტირების და ლიფტის შახტის გამოკვლევის სამუშაოები;
47. ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია“-სთან 2012 წლის 20 აგვისტოს გაფორმებული №01/50 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. თბილისში კახეთის გზატკეცილზე, ალექსეევკის №3-ში, სამხედრო დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია“-ს ადმინისტრაციული, ტრენინგცენტრის, ლოჯისტიკისა და დაცვის შენობების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
48. სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტთან 2012 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული №102 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტის სასახლის რეაბილიტაციის პროექტის მომზადება;
49. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციასთან 2012 წლის 24 აგვისტოს გაფორმებული №124 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის არქიტექტურული მომსახურება;
50. ბოლნისის მუნიციპალიტეტთან 2012 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული №246 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. ბოლნისში დ. აღმაშენებლის ქ. №48ა-ში ახალი სპორტული კომპლესის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
51. შპს „დიდუბე მეგა ტრეიდი“-სთან 2013 წლის 30 იანვარს №01/13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თორნიკე ერისთავის 2/4-ში მრავალფუნქციური სავაჭრო-საოფისე შენობის მშენებლობის ვადის გაგრძელებისათვის კალენდარული გრაფიკისა და მშენებლობის ორგანიზაციის კორექტირებული პროექტის მომზადება;
52. შპს „კაუკასუს მეტალ ტერმინალი“-სთან 2013 წლის 12 თებერვალს №02/13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. ფოთში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 04.01.02.817) ტერმინალის მშენებლობისას სამშენებლო წარმოების ეტაპების საექსპერტო შეფასება; არსებული შენობა-ნაგებობების ან/და მათი ნაწილების: ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება;
53. შპს „დიდუბე მეგა ტრეიდი“-სთან 2013 წლის 13 თებერვალს №03/13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, თორნიკე ერისთავის 2/4-ში მრავალფუნქციური სავაჭრო-საოფისე კომპლექსის II ბლოკის კონსტრუქციული ნაწილის კორექტირება, კერძოდ მონოლითური კედლის ცვლილება ლითონის კარკასით;

ენების ცოდნა	
ქართული	მშობლიური
რუსული	კარგად
ფრანგული	კარგად
ინგლისური	საშუალოდ
კომპიუტერის ცოდნა	
AutoCAD, Лира, Excel, Word	

Нагр. Акад. знак выдан.

დიპლომი

Н № 681218

ეს დიპლომი მიეცა გივი ვარლამის-ძე დანელიას

მასზე, რომ იგი 1956 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. საქ. შრომის წითელი დროშის ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1961 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა"

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1961 წ. „16" ივნისის გადაწყვეტილებით გ.ვ. დანელიას მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი (დირექტორი)

ბ. ა.

მდივანი

ქალაქი თბილისი 1961 წ. 17/VII.

სარეგისტრაციო № 5521

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Н № 681218

Настоящий диплом выдан Данелия Гиви Варламовичу

в том, что он в 1956 году поступил в Грузинский ордена Трудового Красного Знамени политехнический институт им. В. И. Ленина

и в 1961 году окончил полный курс названного института

по специальности „Промышленное и гражданское строительство"

Решением Государственной экзаменационной комиссии от „16" июня 1961 г.

Данелия Г.В.

присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор (директор)

Секретарь

М. П.

Город Тбилиси 1961 г.

Регистрационный № 5521

Московская типография Гознака. 1958.

ДИПЛОМ

КАНДИДАТА НАУК

МТН № 050650

Москва 20 февраля 1970 г.

Решением
Совета Тбилисского НИИ сооружений гидротехники
им. А. Б. Бантиева
от 19 декабря 1969 г. (протокол N 11)

Даниелия Гиви Варламовича

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Совета

Ученый Секретарь Совета

АТТЕСТАТ
ДОЦЕНТА

МДЦ № 087767

Москва 27 сентября 1974 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 12 июня 1974 г. (протокол № 33/5)

Данелия Гиви Важлович

УТВЕРЖДЕН В УЧЕНОМ ЗВАНИИ ДОЦЕНТА
ПО КАФЕДРЕ
"механика грунтов, основания и фундаменты"

Председатель Высшей Аттестационной Комиссии *Алексину*

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии *Жвонимиру*

37